ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2716277

ნომერი: AR1415690

თარიღი : 22.06.2016

გაცემის თარიღი : 18.07.2016

გაცნობის თარიღი : 18.07.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ივანე თარხნიშვილის ქუჩა N2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ძიგუა პ/ნ 01026007451
- ვ.დოლიძის, 21 კორ., ბ. 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოდგენილი იქნეს:

- არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და საპროექტო ფოტომონტაჟი შორი ხედიდან
- შენობის ფასადისა და სარეკლამო აბრის ზედაპირის ფართობის პროცენტული გაანგარიშება.

გათვალისწინებული უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით განსაზღვრული ნორმები , კერძოდ: "საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%-ს". ფართის საკუთრების/სარგებლობის დამადასტირებელი დოკუმენტი

- ვინაიდან სარეკლამო წარწერის განთავსება ხდება საერთო სარგებლობის კედელზე, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი წესით დამოწმებული ამხანაგობის კრების ოქმი (მესაკუთრის, მოსარგებლის შემთხვევაში, ამხანაგობის წევრთა 2/3–ს თანხმობით, იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი არ არის მოსარგებლე/მესაკუთრე, წარმოდგენილი უნდა იქნეს ამხანაგობის კრების ოქმი 100% თანხმობით)

- დაზუსტდეს ინგლისურენოვანი წარწერა (INTERNEISHENAL)

სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.